საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060195780955814

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia. Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 487 **03 / თებერვალი / 2014 წ.**

მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 22 იანვარს შემოსულ #708 წერილთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ასოციაციის წერილში სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ის გარემოება, რომ სამინისტრო არაა პასუხისმგებელი გაზეთის გამოცემის ან გამომცემლობის დახურვის საკითხებზე. შესაბამისად, ერთი რომელიმე კონკრეტული გაზეთის საქმიანობის შეწყვეტა არ ზღუდავს საქმიანობის განმახორციელებელს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს სხვა ცენტრალურ პერიოდულ ხეჭდვით ორგანოში. გარდა ამისა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6-ე მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ინფორმაცია გამოაქვეყნოს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

დამატებით გვსურს გაცნობოთ, რომ სამინისტრო დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას ათავსებს ოფიციალურ ვებ გვერდზე, რითაც ხელს უწყობს დაინტერესებულ საზოგადოებას მიიღოს ინფორმაცია სამინისტროში განსახილველად წარმოდგენილი პროექტების შესახებ.
რაც შეეხება საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების დანერგვას შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების გზით, გაცნობებთ, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, სახელმწიფოს მთელი რიგი ვალდებულებები განესაზღვრა სხვადასხვა სფეროში. გარემოს დაცვის კუთხით სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა არსებული გარემოზე ზემოქმედების სისტემის გაუმჯობესება და საკანონმდებლო რეგულაციების სრულყოფა. სწორედ აღნიშნული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან მიახლოების მიზნით, სამინისტრომ დაიწყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვების კანონმდებლობის ხარვეზების დადგენა და ხარვეზების ანალიზი საერთაშორისო მოთხოვნებთან მიმართებაში. 2013 წლის 4 ნოემბერს გაიმართა ლონისძიება პროექტის „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში" მეორე კომპონენტის ფარგლებში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისია ევროპისთვის" (UNECE) ფინანსური ხელშეწყობით, სადაც ჩართული იყო საერთაშორისო ექსპერტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციის (ESPO) სამდივნოს წარმომადგენლები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ექსპერტები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები.

შეხვედრის შედეგად საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით შემუშავდა დოკუმენტი, სადაც აღწერილია დღეს მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები. შესაბამისად სამინისტრომ დაიწყო გარემოსდაცვითი კუთხით იმ აქტივობების განხორციელება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის სტანდარტების და მოთხოვნების დანერგვას.

ამ ეტაპზე სამინისტროში მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც გვთავაზობენ დახმარებას გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონის სრულყოფის მიზნით. მას შემდეგ რაც დაიდება გარკვეული სახის პროექტი იგი გახდება საჯარო და ყველა დაინტერესებულ პირს მიეცემა

შეესაბამებლობა ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში და გამოთქვას თავისი მოსაზრება.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი

ანგა ნიკაგოსიანი